მოხსენება

პროფ. ივ. ჯავახიშვილის მოხსენება: „ვეფხვის ტყაოსნის კრიტიკული შესწავლის ძირითადი საფუძველი: საკითხი სადაურობისა და დროისა და ავტორის პიროვნების შესახებ“.

ეს მოხსენება ავტორმა წაიკითხა 4 ივნისს „საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების“ ჩვეულებრივ კრებაზე, ხელოვანთა სასახლეში.

მოხსენების მთავარი დებულებანი ასეთი იყო:

პოემის ამბავი არც ქართულია, არც სპარსული, შესაძლოა იგი ძველი ბერძნული, ინდური ან არაბული თქმულება ყოფილიყოს, მაგრამ იმ სახით, რა სახითაც ეს ამბავი ვეფხის ტყაოსანშია წარმოდგენილი, შეუძლებელია იგი მე-XII-ე საუკუნის ბოლო წლებზე უადრეს დამუშავებულიყოს; მეორე მხრით, ამავე სახით ეს ამბავი შეუძლებელია მე-XIII-ე საუკუნის პირველ ათეულსაც დიდად დავაშოროთ (გეოგრაფიულ-ისტორიული კონცეპცია ამ ამბისა ავტორის თავისი დროისდაკვალობაზე შეუცვლია, რასაკვირველია, უეჭველია: სპარსეთის საბოლოოდ ხვარეზმი უკვე გაძლიერების გზაზე შემდგარი, მაგრამ არც იმდენად ძლიერი, რომ ხვარაზმშაჰის შვილის მოკვლამ პოემის მთავარ გმირებში რაიმე შიში გამოიწვიოს, და ისინიც ადვილად ასრულებენ ამ მკვლელობას). ერთი სიტყვით პოემა უნდა იყოს დაწერილი დაახლოებით 1194-იდან 1212-მდე, ან უკეთ 1206 წლამდე.

რაც შეეხება პოემის ავტორის პიროვნებას, მომხსენებელმა დაარღვია ნიკო მარის აზრი რუსთაველის მაჰმადიანობის შესახებ და დაამტკიცა, რომ პოემის ავტორი ქრისტიანია და მუდამ ქრისტიანი მკითხველები ჰყავს სახეში. მომხსენებელმა თავი შეიკავა პოემის ავტორის თემობრიობის შესახებ რაიმე უდაო აზრის გამოთქმისაგან და საზოგადოდ შენიშნა, რომ ავტორის ბიოგრაფიის დაწერა ჯერჯერობით შეუძლებელიაო.

დასასრულ, მომხსენებელმა აღნიშნა, რომ პოემა ისტორია არ არის, მაგრამ ავტორს მაინც მოუხერხებია „შეუფერქვევით“ თავისი დროის ისტორიული ამბების პოემაში მხატვრულად ჩაქსოვა და მაშინდელი ქართველი მაღალი წრეების სულისკვეთებათა პოემის ნაქსოვზე გადატანა (რაინდობა, ძმადნაფიცობა, მაღალი შეხედულება ქალის პატივნებაზე და სხვანი).